№ 81 — 1877—1898 — № 81

პარასკევი, 17 აპრილი, 1898 წ.

# ივერია

პარასკევი, 17 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქვრივი **ოლღა გიორგის ასული მაღალაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ განსვენებულის თავისის ქმრის კოლლეჟსკი ასსესორის

## სოლომონ ნიკოლოზის ძის მაღალაშვილის

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში შაბათს, 18 აპრილს, დილის 10 საათზედ. (1—73—1)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

## შულცე-ბენკოვსკისას,

რომელიც მოთავსებულია მირიმანოვის სახლში და ღია იქმნება მუდამ დღე 10 განყოფილება მხოლოდ ამ დღესასწაულ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.

საანატომიო განყოფილება

ღიაა მხოლოდ დიდებისათვის. ქალებისათვის პარასკეობით, ხოლო მამაკაცებისათვის ყველა დანარჩენ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ. (5—4)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე' კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი — 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს. მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (10—6.—7)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა კაცთ-მოყვარეობით გამოწვეულ ღვაწლისათვის ვერცხლის მედალი „განსაცდელში მყოფთა გადარჩენისა გამო"-ს ზედ-წარწერით, ვლადიმერის ლენტით გულზედ სატარებლად: ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის, სოფელ ბახვის მცხოვრებელთ პავლე.სოვ ბოლქვაძესა და ივანე ჩხაიძეს.

უმაღლესად ებოძათ სასულიერო უწყებაში დამსახურებისათვის მედალი „შრომისათვის" ზედ-წარწერით ეკკლესიათა სტაროსტებს: ტფილისის სამებისა, ტფილისის მოქალაქეს გიორგი ქურდოვანიძეს, იმერეთის ეპარქიის, სოფ. სვირის წმიდა გიორგისას—გლეხს დარისპან ჩიტერელიძეს და იმავე ეპარქიის, რაჭის მაზრის სოფ. სადმელის წმ. გიორგისას—გლეხს ქრისტეფორე კერესელიძეს.

ებოძათ პოდპორუჩიკობა—განჯის გენერალ თავად ციციშვილის ქვეითა მე-156 რაზმის პოდპრაპორშჩიკებს ნიკურაძესა და ართმელაძეს.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის 1 და 2 დედათა გიმნაზიის გაჭირვებულ მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება კვირას, 19 აპრილს, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში, ნაშუადღევის 1 საათზედ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა ე. ლ. ვედენეევმა გზაზედ მოსამსახურეთ გაუგზავნა საყოველთაო მიწერილობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რკინის გზაზედ მოსიარულეთ ზრდილობიანათ მოექეცითო.

*** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს გუბერნიის წინამძღოლის წინაშე იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა საერობო დაწესებულებათა შემოღების განსახილველად. წინად ასეთივე შუამდგომლობა აღძრა იმ კომისიამ, რომელსაც ამ საგნის გამორკვევა ჰქონდა მინდობილი. მაგრამ, როგორც ისმის, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია და კრების მოწვევა შემდეგისათვის გადაუდვია. ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ სასურველია ერობა შემოღებულ იქმნასო, ამიტომ ამ საგნის გადადება მეტია იქმნება, საჭიროა რაც შეიძლება მალე საგანგებო კრება მოხდესო, რომ შემდეგ შუამდგომლობა იქმნას აღძრული ერობის შემოღების შესახებ.

*** ხილეულობის გამოფენა 25 აპრილამდე იქმნება, რომ იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც ბანკის კრებაზედ ჩამოვლენ, შეეძლოთ ამ გამოფენის დათვალიერება.

# ფელეტონი

—

### პრივატ-დოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეტოდი.

(მის პოლემიკის გამო აკაკისთან).

III

„Вся ложная мудрость мерцаетъ и тлѣетъ
Передъ солнцемъ безсмертнымъ ума".
პუშკინი

„Не приведи Богъ служить по ученой части, всего боишься! Всякій мѣшается, всякому хочется показать что онъ тоже умный человѣкъ".
გოგოლი

(დასასრული *)

დაჰპირდა-კი მკითხველებს მეცნიერი პრივატ-დოცენტი, მუხლებად დავყოფ აკაკის წერილს და თვითოეულს ცალკე გავატარებ „სამეცნიერო" კრიტიკის ქარ-ცეცხლშიო; მაგრამ არ აასრულა დაპირება სავსებით. ზოგი მუხლი თუ სრულიად გამოსტოვა, ზოგიდგან კიდევ ორი-სამი სიტყვა ამოგლიჯა და მას დაუწყო ბრძოლა. აკაკიმ სთქვა „კრებულში" (იანვარი): „გავსინჯავთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს (სომხებისასო) და მისთვის აქვე მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელად ერთის ჩვენის ახალგაზდა ქართველი მეცნიერის აზრსაო" (გვ. 38). მერე, რასაკვირველია, მოჰყავს იგი აზრი, რომელსაც 14 გვერდი უპყრია „კრებულისა" და დაფუძნებულია ისეთს ისტორიულ წყაროებზედ, როგორც უსლარი, ლენორმანი, „ქართლის ცხოვრება", დაბადება, ჰეროდოტი, ქსენოფონტი, ბაქრაძე, ვახუშტი და სხვ.

ამ წყაროებზედ დაფუძნებული და დამყარებული ქართველი სწავლული ამბობს: „ამ ნაირად, ახლანდელ სომხებს სრულებით არ აბადიათ არავითარი ეროვნული სახელწოდება და არც ჰქონიათ საკუთარი „ეროვნული ისტორია", სანამდის იმათი ეკკლესია მართლ-მადიდებლობის ეკკლესიას არ მოშორდა. უძველესს იმათ ისტორიაზე ლაპარაკი ხომ უქმი იქნება, და ის ისტორია, რომელსაც მოგვითხრობენ იმათი ისტორიკოსები მე-VII საუკუნიდგან ქრ. დ. წინეთ, მე-VI საუკუნემდე შემდეგ წარმოადგენს იმისთანა ზღაპრულ რამ ამბავს, რომ მსოფლიო ისტორია, რასაკვირველია, სრულებით არ ეთანხმება. მათი დიდებული „ჰაიასტანი"-ს მაგიერ მსოფლიო ისტორია ქრ. დ. წინედ მე-VII და მე-IV საუკუნოებშუა გვიჩვენებს „დამონავებულ" მედიელ-სპარსელებისაგან სომხეთ-არმენიას, სადაც ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ტომ-გვარობის ერები და სადაც ახლანდელ სომხეთ მამა პაპებს უკავიათ მხოლოდ ერთად-ერთი ეფრატის სათაურის ხეობა". (გვ. 49).

მეცნიერმა პრივატ-დოცენტმა ერთის კალმის მოსმით, თავის ფიქრით, მოსპო ზემოდ ამოწერილი აზრი. არ იფიქროთ-კი, რომ ამისათვის მას დასჭირდა ან ცოდნა, ან „თავისი მეცნიერება", სრულიადაც არა. მეცნიერი მარრი ორ-სამ გაცვეთილ და დალეჭილ ფრაზას გაჰკრავს და ჰგონია, ქვეყანა დავაჯერეო. აი, მაგალითებრ, რა ოსტატურად აუქმებს იმ აზრებს სომხებზედ, რომლებიც მას არ ეპიტნავებიან:

„Справка компилятивнаго характера, изобличающая кое-какое знакомство автора съ трудами нѣкоторыхъ оріенталистовъ и совершенную неосвѣдомленность въ арменистикѣ, написана не безъ задора, свойственнаго „смѣлымъ ученымъ (როგორიც თითონა ბრძანდება ალბათ, შევნიშნავთ ჩვენ), необремененнымъ знаніями".

ამავე საგანზედ ცოტა ქვემოდ:

„Этотъ наивный взглядъ въ той или иной степени проскальзываетъ у большинства „случайныхъ" (ფჩხილები ჩვენ მივუწერეთ) авторовъ, бравшихся писать объ Арменіи".

აი ამ ორის ზოგადის ფრაზით მოიშორა მეცნიერმა პრივატ-დოცენტმა თავიდგან შრომა სამეცნიერო კრიტიკისა. თქვენმა მზემ, ძალიან ადვილი ყოფილა არმენისტობა. ეს სულელლია-თქო, იმას არა გაეგებარა, მავანმა სულ არა იცის-რა, ეს შემცდარია-თქო და გამოვა მეცნიერული კრიტიკა?

უსლარისა და ლენორმანის აზრი არისო наивный взглядъ случайныхъ авторовъ-ო. ამას იტყვის მეცნიერი?

ცოტა შემდეგ ბ. მარრმა კეთილ ინება და თავისი არა-наивный взглядъ იც გაგვიზიარა. „უძველეს დროიდგან მოკიდებულიო, მე-X საუკუნემდე ქრ. დაბ. შემდეგ, ქართული ლიტერატურა (დავიხსომოთ: „ქართული ლიტერატურა"!) იმყოფებოდა სომხურის ლიტერატურის დიდ გავლენის ქვეშაო; საკმარისია ვსთქვათ, რომ პირველად ქართული დაბადება სომხურიდგან ითარგმნაო". აბა ჩაუკვირდით ამ ოთხ სტრიქონს მეცნიერის არმენისტისას. ჯერა სთქვა „ქართული ლიტერატურაო"... და დააბოლოვა დაბადებით ანუ, როგორც თითონ ამბობს „библейскія книги"-ო. თუ „библейскія книги" შეადგენს ან ქართულს, ან სომხურს, ან ვისისამე სრულ ლიტერატურას, ეს ჩვენ პირველად გავიგონეთ „მეცნიერის არმენისტისაგან".

მაგრამ ამისთანა ბუჩულებს თქვენი ჭირი წაუღია. ჩვენ აქ ბ. მარრის სიტყვები იმისთვის ამოვწერეთ, რომ უფრო დიდი, უშველებელი მისი ოინბაზობა დაგანახოთ; ოინბაზობა, რომელსაც ჭეშმარიტს მეცნიერებასთან საზიარო არა აქვს-რა. საქმე ის გახლავთ, რომ ბ. მარრმა, რა დაუწუნა ქართველ მეცნიერს მსჯელობა და უსლარ-ლენორმანიც наивный-ებად გახადა, მერე თვით აღმოაჩინა ამერიკა სომხების ძველის-ძველ ისტორიაში. რატომაც არა, მაშ რისთვის არის „არმენისტი"!

ბ. მარრმა სიტყვა გადაუბრუნა ქართველს სწავლულს. ის ამბობდა „ეროვნულ ლიტერატურაზედ", მარრმა ჩამოაგდო სიტყვა „საეკკლესიო ლიტერატურაზედ". განა ეს ერთი და იგივე საგანია? სომხების „საეკკლესიო ლიტერატურას" არც ქართველი სწავლული ჰყოფდა უარს, რაიცა სჩანს შემდეგის მის სიტყვებიდგან:

„მხოლოდ ამის შემდეგ (V საუკ.) ახლანდელ სომხებს თავის საკუთარი ისტორია ებადებათ და ისიც—ისტორია მარტო საეკკლესიო, რადგანაც იმათ სხვა ისტორიას დღემდის ადგილი აღარა ჰქონდა უცხო ტომთაგან ძლამონავებისა გამო: სპარსელებისა—1121 წ., ქართველების—1225 წ., ჯელალ-ედდინის—1238 წ. და მერმე მონგოლებისა, თემურლანგისა, ხელ-მესამეთ სპარსელებისა, ოსმალო-თურქებისა და ახლანდელ ძლევა-მოსილი რუსეთის იმპერიისა".

როგორც ჰხედავთ, ქართველი ავტორი „საეკკლესიო ისტორიასა" და ლიტერატურას-კი არა ჰყოფს უარს, ეროვნულ ისტორიასა და ეროვნულ ლიტერატურას.

*) იხ. „ივერია" № 80.

*** იმათ, ვინც ღრმა-ღელეში ადგილები შეიძინეს, მიჰმართეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას და სთხოვეს ღრმა-ღელეში ტფილისიდგან 4 ვერსის სიშორეზედ ბაქანი გამართეთო, სადაც უნდა გაჩერდნენ სახალხო და საავარაკო მატარებლები. რკინის გზის გამგეობამ, როგორც ისმის, ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა იმ აზრით, რომ ღრმა-ღელე ტფილისზედ ძალიან ახლო არის და ურჩია მთხოვნელთ თქვენის ხარჯით ცხენის რკინის გზა გაიყვანეთო.

*** გაზ. „კავკასს“ სწერენ ტფილისის გუბერნიის სოფ. მუხროვანიდგან, რომ ადგილობრივის მასწავლებლის მეცადინეობით აზრადა აქვთ უფასო წიგნთ-საცავი და სამკითხველო დააარსონ, სადაც როგორც რუსული, ისე ქართული წიგნები იქმნებაო.

*** გაზ. „კავკასს“ სწერენ, რომ ამ ჟამად ცხარე მუშაობაა იმ გამოსაცდელ მინდვრებში, სადაც აზრადა აქვთ ბამბა დათესონ, სახელდობრ ყარაიაზსა, ქუთაისსა, განჯასა და სხვა ადგილებშიო. ამის გარდა გაზეთის სიტყვით ქუთაისსა და ყარაიაზში ბამბის გარდა სხვა მცენარეულობასაც სთესავენ, როგორც, მაგალითად, სიმინდსა, ძირტკბილასა, ქუნჯუთსა, აგრეთვე საკვებავ ბალახსა, მწვანეულობას და სხვათა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ახალსენაკიდგან, რომ ნაესაკისა, გულიკარისა, სუჯუნისა, ჭალადიდისა და კვატანის სოფლის საზოგადოებანი ამ უკანასკნელის სამის წლის მოუსავლობით ისე გაჭირვებულნი არიან, რომ არ შეუძლიანთ საკომლო გარდასახადი და საერობო ხარჯი გადაიხადონო. დღეს ამ საზოგადოებათა დარჩენილი გადასახადი 60 ათას მანეთს აღემატება. ამის გამო ხსენებულ საზოგადოებათ მიჰმართეს ადგილობრივ ადმინისტრაციას და სთხოვეს შუამდგომლობა გაგვიწიეთ, რომ დარჩენილი გარდასახადის გასტუმრება ხუთის წლით გაანაწილონო.

*** დარუბანდიდგან სწერენ „მშაკს“, რომ დაღესტანში წელს საშინელი სიმშილობა არისო. შარშან სოფლებიდგან ქალაქში აუარებელი სანოვაგე მოიტანეს გასასყიდად და წელს-კი არაფერი. ხელცარიელი სოფლელები ეხლა ქალაქში მხოლოდ იმიტომ ჩამოდიან, რომ სამუშაო იშოვნონ და როგორმე ცოლ-შვილი გამოკვებონ.

*** 14 აპრილს სატივეზედ მტკვარში იპოვნეს ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფელ ოხვავის მცხოვრებელის ლექსო საკანელიძეს გვამი, რომელსაც ორი ჭრილობა ჰქონდა საფეთქელსა და მარჯვენა თვალზედ. საკანელიძე ახალგაზდა 25 წლის კაცი იყო, ხელობით ქვის მთლელი.

—

## შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ 78 ნომერში დაბეჭდილი იყო ამბავი ერთის დურგალის ალექსანდრე ლიპარიძის გაჭირვებულის მდგომარეობისა. ადრესი ლიპარიძისა შეცდომით იყო დაბეჭდილი. ეს დურგალი სცხოვრობს მთაწმინდაში, მეორე ავრაჟსკის ქუჩაზე, პოტაპოვის სახლში, № 12.

---

## მესამე კრება კახეთის მირაბისა და სხვა სათემო მოხელეების ასარჩევად.

(წერილი თელავიდგან)

11 აპრილს თელავის სამაზრო გამგეობის შენობის ეზოში 510 გლეხმა მოიყარა თავი თვისის მამასახლისებითა და ბოქაულებით. აქავე შენობის მოაჯირზედ შეყრილიყვნენ 20 თავად-აზნაურთაგანი, საწყალე ოლქის რჩევის წევრი თავ. იორამ ჯორჯაძე, ჰიდრავლიკ-ინჟინერი ბ-ნი მ. ზუევი და მაზრის უფროსი ბ-ნი ვ. ვ. განსევიჩი. დანიშნული იყო გრემის საწყლე ოლქის მირაბის და სხვა მოხელეთა არჩევანი. ეს არჩევანი რიცხვით მესამე გახლავთ. პირველი არჩევანი, რომელზედაც არჩეული იყო ალნიაშვილი მირაბად, გაცუდდა, რადგანაც კანონიერი თეთრი არ ამოუვიდა. მეორე—არ შესდგა, რადგანაც ვისიც რიგი იყო, ისინი არ დაესწრნენ. მესამე გახლდათ დღესა და უნაყოფო ნაყოფიერობა გამოიჩინა. კრება დაიწყო თავ. იორამ ჯორჯაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც გაახსენა წარსული ხალხს და მისცა წინადადება ამოერჩიათ ჯერ მირაბი. კანდიდატებად თვითვე დაასახელა თავ. გ. ვახვახიშვილი და იგივ ალნიაშვილი. კანდიდატთა შესახებ ხმაც არავის ამოუღია, ხალხმა პირდაპირ განაცხადა უარი მირაბის ამორჩევისა. კაცს ეგონებოდა დაურიგებია ვისმე ეს ხალხიო, 510 კაცი ერთად იძახდა: „არ გვინდა, არ გვინდა, არა“!!. რამდენიც თავმჯდომარე დაიწყებდა თავისის წინადადების განმარტებას, კანონის მოთხოვნილების საფუძვლიანობის შესახებ სჯასა, იმდენი გააწყვეტინებდა ხალხი ლაპარაკს „არ გვინდა, არ გვინდა, არა“!—თითქმის თვითეულ წინადადებას თავმჯდომარისას ერთობა ხალხისაგან მაღალი ხმით წარმოთქმული იგივ სიტყვები. ხალხს მიჰმართა ბ-ნმა ზუევმა, უთარგმნიდა იგივ თავმჯდომარე. ამ სიტყვაში გამოთქმული იყო ის აზრი, რომ თუ თვით ამომრჩევლები არ აირჩევენ, მთავრობა თავისით დაჰნიშნავს მირაბს იმ გარჩევით, რომ ახლა ორივე კანდიდატი თანახმანი არიან უჯამაგიროდ ემსახურონ ხალხსა, მთავრობა-კი დაუნიშნავს ჯამაგირსაო. არც ამან უშველა, ამომრჩევლები იმავ სიტყვებს იმეორებდნენ. თავმჯდომარემ მოსთხოვა ამომრჩევლებს, რომ გარკვევით გამოეთქვათ თავისი აზრი. წარმოდგა წინ ერთი აწყურელი გლეხი—ტიტია ძეგველიშვილი და სთქვა: „ბატონო, ჩვენ სარწყავი წყალი არა გვაქვს, ერთი წყარო არის, შენი ჭირიმე, და როცა დედაკაცები შეიყრებიან, ერთმანეთს პატივსა სცემენ და ისე ავსებენ კოკებსა. აბა, შენი ჭირიმე დედაკაცებს რად უნდათ მირაბი“?. წარმოდგა წინანდალელი გლეხი და სთქვა: „ჩვენ წყალი სულ არა გვაქვს; მირაბი იმან უნდა აირჩიოს, ვისაც სამერაბო აქვს, ჩვენ არცა გვაქვს და არც ავირჩევთ. ჯამაგირი იქმნება, იმათ უნდა გადიხადონ, ვისაც წყალი აქვს, და არჩევითაც, თუ უნდათ, იმათ უნდა აირჩიონ; უჯამაგიროდ იქმნება—და, ისევ იმათი კითხული უნდა იყოს. ჩვენ, უწყლო ხალხი, განგვათავისუფლეთ, შენი ჭირიმე“. ახლა კონდოლელი გლეხი სოლია ფეტვიხვრეტიაშვილი გამოვიდა და სთქვა: „ბატონო, ჩვენ ტყუილად გვტანჯავთ და გვაწუხებთ, აგერ სამჯერ შევკრებილვართ ხუთას-ხუთასი კაცი, ჩვენ ამით ორასი თუმანი ზარალი გვაქვს, ვცდებით, ვიშრიტებით და გაკეთებით-კი არას ვაკეთებთ. დაგვითხოვეთ, თქვენი ჭირიმეთ, მთავრობამ თითონ იცის, როგორც მოიქცევა. ჩვენ-კი არავისი ამორჩევა არ გვინდა, არც ვსაჭიროებთ მირაბსა და სხვამ თავისი იცის. წყალი ალაზან გაღმა არის, იქა რწყავენ ვენახებსაცა და ყანებსაც, აქეთ სარწყავი წყალი არ არის და გაღმაველებს თუ უნდათ, თვით აირჩიონ, ჩვენი კითხული საჭირო არ არის“. ბევრმა გამოსთქვა ასეთივე აზრი და სუყველანი ერთად-კი არჩევის უარს აცხადებდნენ. ბოლოს ბ-ნმა ვ. ვ. განსევიჩმა მიჰმართა ხალხს: „მე გირჩევთ აირჩიოთ მირაბი. თქვენგან უარის განცხადება მთავრობის განკარგულების წინააღმდეგობასა ჰგავს. ამიტომ შეიძლება საქმემ ცუდი ბოლო იქონიოს, თქვენ საზარალოდ დამთავრდეს. გირჩევთ, გირჩევთ თქვენის ნებით აირჩიოთ, გირჩევთ როგორც მაზრის უფროსი-კი არა, როგორც თქვენი კეთილის მყოფელი, როგორც მამა“. ეს მამა-შვილური დარიგება ხალხმა ყურადღებით მოისმინა. მაზრის უფროსს მადლობა გარდაუხადა დარიგებისათვის და მაინც არჩევნის უარი განაცხადა. ამის შემდეგ დათხოვნილი იყო გლეხობა. თავად-აზნაურობამ თანხმობა განაცხადა არჩევანზედ. შეადგინეს ოქმი, რომელშიაც მოიხსენიეს, რომ გლეხობამ რიცხვით 510 ამომრჩეველმა უარი განაცხადა, ხოლო 20 კერძო მემამულემ თანხმობა, მაგრამ უკანასკნელნი უმცირესობას შეადგენენ და ამიტომ არჩევანი არ შესდგაო.

ახლა ის ვიკითხოთ: 1) რად განაცხადა უარი მთელმა გლეხობამ, როდესაც იგივ გლეხობა პირველ არჩევანის დროს თანახმა იყო? 2) რად განაცხადა გაღმამხრის გლეხობამ უარი მირაბის არჩევისა, როდესაც გაღმა მხარის გლეხობამ კარგად იცის, რომ იქ უეჭველად საჭირო არის მირაბი, ყოველ წელიწადს დიდი ჩხუბი და თავ-პირის მტვრევაა რწყვის გამო? 3) რად განაცხადა მირაბის არჩევის უარი სოფელ ენისლის გლეხობამ, როდესაც გამოცდილებით იცოდა, რომ ამ დაწესებულებამ იმათ დიდი სარგებლობა მოუტანა! ეს საკითხები მით უმეტესად საყურადღებოა, რომ ვინც არ იცის ნამდვილი მიზეზი ამომრჩეველთა სამჯერ უნაყოფოდ შეკრებისა, დარწმუნებული ვარ, ის საარჩევანო მოქმედებისათვის ხალხის მოუმზადებლობას მიაწერს. ამასთან კარზედ მომდგარია ერობის შემოღების საქმე და ამისთანა შემთხვევას იქაც მოწი-

---

ამას მეცნიერი მარრი დარბაისლურად მხარს უქცევს, ვითომ ეს მისს ყურს არც-კი გაუგონია.

შესახებ ქართულის ანბანისა და მესრობისა მარრი ბძანებს: მართალია, ქართული ხუცური სომეხს მესრობს არ შეუდგენია და აქ სტყუის სომხის ისტორიაო. მაგრამაო, ის-კი სათქმელია, რომ ხუცური ანბანი წააგავს სომხურსაო[2]). მაშასადამეო, სომეხთ ისტორიის ცნობა არსებითად მაინც არ ირყევაო.

კაი მეცნიერული „მაშასადამე“ არ არის?

„არსებითად“ არყევს მას ისტორიკოსი ბაქრაძე, როდესაც სწერს: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებას, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა. ასოს „ს“, როგორც ქართულში, აგრეთვე უძველესს ბერძნულში ერთი და იგივე სახელ-წოდება აქვს: „სან“. მართალია ზოგი ჩვენი ასოებიც, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით, უახლოვდებიან დევანაგირსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ანბანი სხვა-და-სხვა დროს არის სხვა-და-სხვა ანბანებიდგან შევსებული და, ჩემის მოაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული ახალშენები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავის ზღვის ნაპირებზე. თვით ლექსნი: მელანი, კალამი იმ დროდან უნდა გვქონდეს ბერძნებისაგან მითვისებულნი: ეს ლექსები ძველს ბერძნულშიაც ისე იხმარება, როგორც ქართულში“ [3]).

აი როგორის საბუთიანობით სწერენ ჭეშმარიტნი სწავლულნი და სერიოზი მკვლევარნი. რომ ქართული ანბანი შეკავშირებულია ინდოეთის ალფაბეტებთან, ამას ჰმოწმობს ბროსსეც. ეს ავტორები სულ случайный ავტორები არიან და მარტო არმენისტი ნ. მარრი არის დიდი ავტორიტეტიო. ამიტომ ყოვლად დაუმტკიცებლად, დოქტორის კილოთი, ბრძანებს:

„Если такіе основные факторы христіанской культуры, какъ церковное письмо, были получены грузинами отъ армянъ“.

ისიც-კი სათქმელია, რომ ხუცური სომხურს მხოლოდ ჰგავსო, ზევითა სთქვა („составлено по образцу“) და, ორის სტრიქონის ქვევით ნათქვამი დაივიწყა და დაახალა „были получены отъ армянъ“-ო.

კარგი, ძალიან კარგი მეცნიერული კვლევაა საგნისა. ამ გზით იაროს ბ. მარრმა და ძალიან შორს, შორს წავა არმენისტიკაში; ისე შორს, რომ, შეიძლება, ერთი კაციც არ გაჰყვეს თან.

მაგრამ ამით არა თავდება მარცხი და გაუგებრობა მეცნიერის არმენისტისა. საქმე ის არის, რომ მეხუთე არქეოლოგიურ კრების შემდეგ, ტფილისში, იმ საკითხმა, თუ ვინ და როდის შეადგინა ქართული ანბანი, სულ სხვა, ახალი მიმართულება მიიღო. ამ კრებაზედ ბ. ილია ოქრომჭედლიშვილმა, პროფესორმა, წაიკითხა თავისი შესანიშნავი რეფერატი: „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?!“ ამ რეფერატმა (იხ. „ივერია“, 1881 წ. № X) სრულიად ახალი შუქი მიაყენა საინტერესო საგანს. ილ. ოქრომჭედლიშვილმა დაამტკიცა, ყოველ ეჭვს გარეშე ჰყო ის აზრი, რომ ქართული-მხედრული ბევრით ადრეა შემოღებული ხუცურზედ, მესამე საუკუნეში ქრის. დაბ. წინად, სახელდობრ ფარნავაზ მეფის დროს, როგორც მოგვითხრობს „ქართლ. ცხოვრებაც“ და გადმოღებულია ჩვენი ანბანი, როგორც კოპიო, ზენდურის ანბანიდგან. ეს გარემოება უნდა კარგად მოეხსენებოდეს ბ. მარრს და გვიკვირს, ძალიან გვიკვირს, რაღად შეჰყავს მკითხველი საზოგადოება შეცდომაში და ამტკიცებს, ქართული ანბანი სომხურის მიბაძვით არის შედგენილიო.

„ხუცური ანბანი მართლაც ერთის შეხედვით ძალიანა ჰგავს სომხურ ანბანსა, ამბობს იქვე ოქრომჭედლიშვილი, რომლის მოგონებას მესრობს მიაწერენ; მაგრამ ეს მზგავსება მხოლოდ გარეგანია (მარრს-კი არსებითი ჰგონია!). სომხური ასოები შესდგებიან სწორე ხაზებისაგან და წარმოსდგებიან მათის გადაბმით ერთმანეთთან. ამიტომ სომხური ასოები კუთხიანებია, ესეთივე კუთხიანი სახე აქვს ხუცურს ასოებსაც, რადგან ისინიც სწორე ხაზებისაგან შესდგებიან; მხედრულს-კი სრულებით მრგვალი სახე აქვს, რადგან მასში მრგვალი ხაზებია და არა სწორეები. თუ ამ გარეგან მსგავსებას თავს დავანებებთ და შევადარებთ ცალკ-ცალკე ხუცურს ასოებს სომხურ ასოებთან, ვერ ვიპოვით ვერავითარს მსგავსებას გარდა ასოსი „კ“. მაგრამ თუ ხუცურს ასოებს მხედრულებს შევადარებთ, დიდს მსგავსებასა ვნახავთ. მხედრულს ანბანში 38 ასოა და 30 მათგანის მსგავსი მოიპოვება ხუცურში, მხოლოდ იმ მცირე განსხვავებით, რომ მხედრული ასოები მრგვალის ხაზებიდამ შესდგება და ხუცურში ეს მრგვალი ხაზები სწორედ არის გაწეული. აი მაგალითად:

| მხედრული. | ხუცური. |
| --- | --- |
| თ | ⴇ |
| მ | ⴋ |
| ნ | ⴌ |
| ს | ⴑ |

როგორც ჰხედავთ, ბ. მარრს ეცლება ხელიდგან სულ უკანასკნელი მოსაზრებაც: ხუცური შედგენილია სომხურის მიბაძვითაო.

ისიც აღსანიშვნელია, რომ მეცნიერი მარრი ხუცურს ანაბანას ეძახის „основной факторъ“ (მთავარი ფაქტორიაო) საქრისტიანო კულტურისა საქართველოშიო. ამის თქმა შაეძლო მხოლოდ არმენისტს, რომელსაც თავის „მეცნიერული“ ჩხირკედელობა სულ „основной факторъ“-ებად ეჩვენება. ჩვენ-კი გვგონია, რომ ეს ხუცური ანაბანა, როდესაც ერს ჰქონდა მხედრული, სრული და შემუშავებული, ანბანი არა თუ „основной факторъ“-ი არ არის, არამედ მეტი ბარგია, გამოწვეული არსებობისთვის არა აუცილებლობით, არამედ სასულიერო წოდების შემცდარის შეხედულობით, რომ საეკკლესიო წიგნები სხვა ასოებით უნდა იყოს ნაწერიო. ამ ანბანის შემოღებით სამღთო წიგნებს მოაკლდა განიერი და ფართო წრე მკითხველისა და გახდა სპეციალურ ცოდნად.

კიდევაც ვიტყვით, ეს გარემოება მხოლოდ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მისის წყალობით სამღთო წიგნებს არა ერთი და ორი მკითხველი მოაკლდებოდა, რაგვარ მოვლენას ვხედავთ დღესაც.

ნათქვამის შემდეგ ნუ თუ არ გაგეცინებათ, როდესაც მოისმენთ მეცნიერ არმენისტის სიტყვას:

„თუ რომ ისეთი არსებითი და მთა-

[2]) „Оно, несомнѣнно, было составлено по образцу армянскаго алфавита“.

[3]) იხ. „ისტორიული ნარკვევი“ ალ. ჴყონიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგენი საბუთად გამოიყენებენ.

ალაზან გაღმა და გამოღმა მხარეები ერთმანეთისაგან განირჩევა ნიადაგითაცა და სარწყავი წყლის უხვობითაც. გაღმა მხარე სულ სარწყავია და წყალიც იმდენი აქვს, რომ მისი წეს-რიგიანი ხმარება ყოვლად საკმარისია. გამოღმა მხარის მიწა ისე არა თხოულობს რწყვასა და არც ბუნებას დაუჯილდოვებია ამითი. რასაკვირველია, აწინდელის, კულტურის შესახებ ვამბობ, რომ არ თხოულობს მეთქი რწყვასა. სარწყავი წყალი რომ ჰქონდეს გამოღმა მხარეს, იგი თავისს აწინდელ სამეურნეო კულტურას შესცვლიდა და ბევრად გააუმჯობესებდა. გამოდის, რომ გაღმა არის სარწყავი წყალი და მის გაწესრიგება საჭიროა; გამოღმა სარწყავი წყალი არ არის და სანატრელია, რომ იგი იყოს. ეს ორი მხარე სხვადასხვა გარემოებაშია. ეს გარემოება თხოულობს, რომ ორ ოლქად იყოს იგი გაყოფილი, ორი მირაბი ჰყავდეს და ორი საოლქო საბჭო. ყველა ეს გლეხებს ძალიან კარგად ესმით. დარწმუნებულნი არიან, რომ თუ მირაბი გაღმა მხრის აწეწილ-დაწეწილ საქმეების გაწეს-რიგებას შეუდგება, იგი გამოღმა ველარას გააკეთებს; თუ გამოღმა მოინდომებს სარწყავის წყლის გამოყვანას, ეს საქმე იქამდის დიდია, რომ იგი გაღმა ველარას გააწეს-რიგებს. ამიტომ გამოღმელები სულ ტყუილად გადიხდიან ხარჯსა, თუ აირჩევენ მირაბს, რაკი მისი საქმე სულ უკვე არსებულ გაღმა მხრის სარწყავის წყალის საქმის გაწეს-რიგება იქმნება საჩივრების გამო, და როგორც უმრავლესობა სძლევს გაღმა მხარსა. პირველს ყრილობაზედ გლეხობა თანახმა იყო, რადგანაც თითოეული მხარე თავისს სარგებლობას მოელოდდა მირაბისაგან და ჯერ საქმის სიახლის გამო არ იცოდა, რამდენად შესასრულებელი იყო ასეთი საქმე. ამასთან შიგ და შიგ იყვნენ იმისთანანი, რომელნიც კანდიდატის სასარგებლოდ ჰმოქმედებდნენ და ხალხს დიდის ბედის კვერის გამოცხობასა ჰპირდებოდნენ. ამ უკანასკნელს გარემოებაზედ უფრო იყო აშენებული პირველი კრების საარჩევანო მსვლელობა. დრომ თავის დაღი დაასვა საქმეს და ეს დაღი გლეხებმა სხვებზედ უკეთესად შეიგნეს: სარწყავის წყლის საქმე მოითხოვდა, რომ თითოეულის მონაწილის უფლება გამოცხადებული ყოფილიყო; ყველას მონაწილეობა საოლქო გამგეობას ეღიარებინა. არა თუ ეს ასე არ მოხდა, არამედ ბევრგან მამა-პაპეული უფლებანი დაირღვა, უფლების მქონე უფლება მოკლებული შეიქმნა და უუფლებო უფლებით შემოსილი. ეს იყო მიზეზი, რომ უარი განაცხადეს იმ ამომრჩეველთ, რომელთაც დღემუდამ თავ-პირის მტვრევა აქვთ სარწყავის წყლის გამო. თვით ოლქსაც ისეთი სახელი უწოდეს, რომელიც უფრო შეუფერებელი იყო „გრემის წყლის ოლქი“.

ენისლელებმაც-კი უარი სთქვეს, რაკი დაინახეს, რომ მათი მკლავი სხვისთვის ჰგლეჯავს ნარსა. საოლქო გამგეობამ დიდის გვალვის დროს ენისელს სამი კვირით წყალი მისცა, წყალი რომელიც გრემს და საბუეს ეკუთვნოდა, და ისიც დასალევად. ამისთანა დროებითი განკარგულება, ანუ თხოვება ინჟინერ ჰიდრავლიკმა სამუდამო საქმედ შესცვალა, ნათხოვარის დასაკუთრების ნება და უფლება მიანიჭა. ამ უსამართლო განკარგულებამ გამოიწვია პატრონისა და მთხოვნელს შორის შფოთი. საქმე სასამართლომდის მივიდა, სადაც გამოირკვა საქმის ავ-კარგობა. აღმოჩნდა, რომ ენისლელები ტყუილად, უსამართლოდ იჩემებდნენ სხვის საკუთრებას, დროებით ნათხოვარს და ტყუილად იწევდნენ გრემელებზედ, უშვერდნენ ზურგს იმათ ბარ-თოხებსა. რასაკვირველია, სასამართლოშიაც გამტყუნდნენ და ამიტომ დღეს უარი განაცხადეს.

ნადიკვრელი

## უცხოეთი

—

**ისპანია და შეერთებული შტატები.** გაზეთ „Times“-ის სიტყვით, შეერთებულის შტატების მთავრობა თავის სამხედრო ხომალდებს ორს ადგილას უყრის თავს: ერთი გემიტონისა და მეორე კეივესტის ნავთ-სადგურში. პირველი ესკადრა, ესრედ წოდებული მსწრაფლ მოსიარულე ესკადრა, შესდგება ხუთის სამხედრო ხომალდისაგან. უფროსად ამ ესკადრას ეყოლება უინფილდ-სკოტ-შლეი, რომელიც ამ ჟამად 59 წლის კაცია. სკოტ-შლეიმ სწავლა 1860 წელს დაასრულა, ხოლო 1862 წელს მხურვალე მონაწილეობა მიიღო ნავთ-სადგურის გუდსონის აღების საქმეში. სკოტ-შლეი აგრეთვე დიდს მონაწილეობას იღებდა კორეასთან ომის დროს 1869—72 წლებში. 1874 წელს მას ბრაზილიის ექსპედიციის ხელმძღვანელობა მიანდეს, ხოლო 1884 წელს უფროსობდა იმ ექსპედიციას, რომელიც პოლიუსის მკვლევარის გრილის საშველად იქმნა გაგზავნილი. 1888 წელს შლეიმ პირველი ხარისხის კაპიტნობა მიიღო; გარდა ამისა შლეი საზღვაო აკადემიაში ლექციებსაც კითხულობდა.

მეორე ესკადრა ამ ჟამად 9 ხომალდისაგან შესდგება, მაგრამ მალე სამი სხვა ხომალდიც შეუერთდება. ამ ესკადრის უფროსად დანიშნულია უილიამ ტომას სამპსონი, რომელსაც ამერიკაში გამოჩენილის ზღვაოსნის სახელი აქვს გავარდნილი. სამპსონი ცნობილია როგორც მამაცი მეომარი და მოხერხებული ადმინისტრატორი. 1886 წლიდგან შეერთებულის შტატების საზღვაო აკადემიის უფროსად არის. კეივესტი, სადაც ეს მეორე ესკადრაა გაჩერებული, კუბის უმთავრეს ქალაქ ჰავანიდგან სულ 100 მილის სიშორეზეა, ასე რომ სამპსონს სულ ცოტა ხანში შეუძლიან ალყა შემოარტყას ჰავანას და მთლად კუბასაც. ამავე ესკადრიდგან გაგზავნილი იქმნება რამდენიმე ხომალდი ისპანიის მეორე კუნძულის პორტო-რიკოს დასაჭერად, რომელიც იქვე კუბის მახლობლად მდებარეობს და რომლის მცხოვრებლებიც, როგორც კუბისა, დიდი ხანია ისპანიით უკმაყოფილონი არიან და განთავისუფლებას სცდილობენ. აი, რა უთქვამს ამ კუნძულის შესახებ კუბის ერთს მეამბოხეს ტორრიდო დელ-მარმოლს გაზ. „Gaulois“-ის კორესპონდენტისათვის: „პორტო-რიკოს მცხოვრებლნი დიდი ხანია მარჯვე შემთხვევას ეძებენ, რომ ამბოხება მოახდინონ და ისპანიას განშორდნენ. ცალკე კომიტეტიც კი შესდგა, რომელსაც აზრად პორტო-რიკოს ისპანიის მონობისაგან განთავისუფლება აქვს. ამ ჟამად კუნძულის მცხოვრებლნი დიდს მზადებაში არიან, რომ ამერიკელების მისვლისათანავე ხელი გაიღონ და ისპანიელნი კუნძულიდგან განდევნონო“.

ამ ორი ესკადრის გარდა შეერთებულის შტატების მთავრობას აზრადა აქვს ერთი პატარა ესკადრაც შეადგინოს და ეს ესკადრა ისპანიის ახალშენებისაკე ფილიპეს კუნძულებისაკენ გაისტუმროს. ეს კუნძულები მდებარეობენ აზიის მახლობლად, დიდ ოკეანეში, ჩინეთისა და სიამის სახელმწიფოს აღმოსავლეთით. გარდა ამისა, იმავე გაზეთის სიტყვით, ამერიკა რამდენსამე გემს ისპანიის ნაპირებისაკენაც გაჰგზავნის.

რაც შეეხება ისპანიას, „Times“-ისავე სიტყვით, მას ამ ჟამად კუბაში ორი ნაღმახანი და რამდენიმე წვრილი ხომალდი ჰყავს, იმის უმთავრესი ფლოტიკი ისპანიის ნავთ სადგურ კადიკსშია, რომელიც ჰავანიდგან 3,000 მილის სიშორეზეა. ეს ესკადრა ხუთის დიდის და რამდენისამე წვრილმანის სამხედრო ხომალდისაგან შესდგება. მეორე ესკადრას მწვანე კონცხის კუნძულებთან უყრიან თავს, რომელიც აგრეთვე 3000 მილით არის დაშორებული ჰავანიდგან. ჯერ არ იციან ამ ესკადრაში რამდენი ხომალდი იქმნება. ამის გარდა ფილიპეს კუნძულებთანაც რამდენიმე სამხედრო ხომალდია გაჩერებული.

როგორც ზემოდ ჩამოთვლილიდგან სჩანს, ამერიკა სამხედრო ხომალდების რიცხვით სჭარბობს ისპანიას, მაგრამ ხომალდების გარდა ისპანია ფულითაც ძალიან გაჭირვებულია. ამის გამო გაზ. „ფრანკფ. ზეიტ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: „ისპანიას იმდენად უჭირს ფული, რომ აზრადა აქვს თავისი ახალშენები დააგირაოს და სესხი აიღოს. ხმა დადის, რომ მან კიდეც მისცა წინადადება ინგლის ფილიპეს კუნძულებს დაგიგირავებო“.

ამის მიუხედავად, ისპანელნი მაინც არა სცხრებიან და პატრიოტულის გრძნობით გატაცებულნი საქვეყნოდ გაიძახიან, შეერთებული შტატები ჩვენ ვერას დაგვაკლებენო. აი, მაგალითად, 7 მარტს როგორი სიტყვა უთქვამს სენატის კრებაზედ ისპანიის მინისტრ-პრეზიდენტს საგასტას: „ეხლა ლაპარაკის და სიტყვების დრო აღარ არის. ჩვენ საქმეს უნდა მივყოთ ხელი, რომ მტერს მარჯვედ დავხვდეთ და ჩვენ სამშობლოს გამარჯვებით სახელი გაუთქვათ. ჩვენი მტრები ცდილობენ ისპანიის დამცირებას, იმის მიწასთან გასწორებას. ჩვენ უოკველი ღონე ვიღონეთ, რომ ომი თავიდგან აგვეცილებინა, მაგრამ არ შეგვეძლო. მტერი ჩვენი საკუთრების მითვისებას ცდილობს, მაგრამ ისპანია ამის ნებას არავის არ მისცემს. ჩვენი ერი იმდენად ძლიერი და მამაცია, რომ დაუსჯელად თავის საკუთრებას არავის დაუთმობს“.

---

კარი ფაქტორი საქრისტიანო კულტურისა, როგორიც არის ხუცური ანაბანა, ქართველობამ მიიღო სომხებისაგან“ და სხვა, და სხვა.

უკვე თქმული სრულიად საკმარისია, რომ პირუთვნელ მკითხველის თვალში აბრუ და სახელი მეცნიერისა სრულიად გაუტყდეს (дискредитировать) ბ. მარრს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენც დაგვეკარგა ხალისი, განვაგრძოთ, საუბარი ასეთს „მეცნიერთან“... და თუ აქ არ ვწყვეტავთ სიტყვას მისს არამეცნიერულ მოსაზრების ქსელზე — ეს მხოლოდ და მარტო იმიტომ, რომ დავანახვოთ მეცნიერ არმენისტის ახალგაზდა მსმენელებს, რაოდენის სიფთხილით და კრიტიკით უნდა მოეპყრან ხოლმე პრივატ-დოცენტის „საკუთარ გამოკვლევას“.

აკაკი სწერდა იმავე „კრებულში“ (გვ. 37): „აი რა უანდერძა მათ (სომხებს) საშვილიშვილოთ მათმა პატრიარხმა აბრაამმა „დვინის კრების“ დროს — 596 წ. „ჩვენ ვბრძანებთ, რომ სომხმა ამის შემდეგ არ იქონიონ ქართველებთან არავითარი კავშირი“... და სხვა.

ეს სიტყვები ბ. მარრმა ასე გადააკეთა: აკაკი ამბობსო, რომ 596 წ. დვინის კრებამ დაადგინა, აღეკრძალოს სომხებს ურთი-ერთობა ქართველებთანაო [4]). აკაკი ძალიან შემცდარია, ეს დვინის კრების რედაქცია-კი არ არის, კათალიკოზ აბრაამისაო.

აქ-კი სწორედ ცუდი საქმე დაემართა მეცნიერს. წაკითხულის გაგებაც ველარ მოახერხა. აკაკი თვითონ ამბობს: „აი, რა უანდერძა მათმა პატრიარქმა აბრაამმაო“ და მალვე ასწავლიან: ეგ ანდერძი კათალიკოზმა აბრამმა გამოსცაო!

მაგრამ ღირს-კი სალაპარაკოდ ისა, თუ ვინ გამოსცა იგი ანდერძი: კათალიკოზმა თუ კრებამ? საქმე თვით იმ ანდერძის არსებობაშია, რომელსაც უარს ვერა ჰყოფს თვით არმენისტი მარრიც. მაგრამ სადაც უარის ყოფა ძნელია, იქ მეცნიერი სხვა ხერხებსა ხმარობს. მაშინ ის სჩხრეკს ქართულ წყაროებს და ამბობს: აი ქართველებმა კიდევ მავან დროს ესა სთქვეს ცუდი სომხებზეო.

ჩვენ ამ გვარ ჩხრეკისა და პასუხების წინაშე არა გვეთქმოდა-რა, რომ მარრის საჯაროდ აღეარებინა, რო ის გამოვიდა საასპარეზოდ, ვითარცა სომეხი-პუბლიცისტი. ხოლო ბ. მარრი თავს იკლავს, მე მეცნიერი ვარ, და ჩემი საგანი მეცნიერული სიმართლის ძიება არისო.

ერთის სიტყვით, მდაბიურად რომ იტყვიან: ჩიჩიაც უნდა და ბაბაცაო, მარრსაც ის ემართება. მიუდგომელის მეცნიერის სახელიც უნდა დაიმსახუროს და სომხების გულიც მოიგოს ქართველების ცუდად ხსენებით-კი, რასაკვირველია; ხოლო ვერც ერთს საგანს ველარ ახწევს, როგორც იარის კურდღლის დამჭერს მოუვა ხოლმე. ხელში გრჩებათ: მდაბალის ხარისხის მეცნიერი და ისეთივე პუბლიცისტი.

აკაკი ამბობდა „კრებულში“ (გვ. 36): „იმათ (სომხების) ისტორიას რომ დავეკითხოთ, თვით-არსებობა ქართველთა არასოდეს არა ყოფილა სახსენებელი, ენაც უწყალობებიათ ჩვენთვის, ანაბანაც მათს მესრობს შეუთხზავს ჩვენი და წეს-წყობილებაც მათგან მიგვიღია“!

ამაზედ ბ. მარრი ასე უპასუხებს: „ცამეტი წელიწადია ჩვენ ვკითხულობთ სომხურს, აგერ ათი წელიწადია, რაც ვსწავლობთ სომხის ავტორებს, ვითარცა სპეციალისტი, მაგრამ არ შაგვხვედრია, რომ ან რომელსამე სომხის ისტორიკოსს, ანუ მწერალს უარ ეყოთ ქართველების თვით-არსებობაო“.

დიდად შემცდარია, ჩვეულებისამებრ, ბ. არმენისტი აქაც. ქართველების თვით-არსებობის უარს ჰყოფს დღესაც, ჩვენ თვალ-წინ, ახალგაზდა პრივატ-დოცენტი-არმენისტი, — სახელს ამ ვაჟბატონისას უეჭველია მარრი მიხვდება, — როდესაც ამტკიცებს, რომ ქართველებმა ანბანი სომხებისგან მიიღესო, ქართველებმა საეკკლესიო წიგნები სომხურიდგან სთარგმნესო, ქართველებისადმი მეცნიერული ინტერესი ევროპაში სომხებმა აღძრესო, ქართული ენა ისეთი ღარიბი და მარტივი არის, რომ... ცხოველების ხმებს წააგავსო, ქართული ენა სავსეა სომხურის სიტყვებითაო და სხვა, და სხვა, და სხვა.

ამ ავტორს ნ. მარრი კარგად იცნობს, ძალიანაც აღტაცებულია მისის მეცნიერულ კვლევით და ნიჭიერებით, ერთგულად და ბეჯითადაც კითხულობს მისს ნაწერებს და... გვარწმუნებს-კი, ქართველებზედ ცუდი სომხურ ლიტერატურაში არა წამიკითხავს-რაო.

ქართველების თვით-არსებობის უარ-მყოფელია მოსე ხორენელი და ქორიუნი, როდესაც სრულიად ტყუილად სწერენ: ქართველებს ანბანი სომეხმა სწავლულმა მესრობმა შეუდგინაო [5]).

ქართველების თვით-არსებობის უარ-მყოფელია პატკანოვი, როდესაც გაიძახდა, ქართველების „ქართლის ცხოვრება“ სომხურ ზღაპრებისაგან არის შემდგარიო.

ქართველების თვით-არსებობის უარ-მყოფელია ერთი აქაური რუსულ-სომხური გაზეთი, როდესაც ამტკიცებდა ანუ უკეთ, სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ტფილისი იმთავითვე, ქართველ მეფეების დროსვე, სომხების ქალაქი იყოვო.

ქართველების თვით-არსებობას უარს ჰყოფს ის სომხური გეოგრაფიული რუკა, რომელშიც საქართველო „დიდ სომხეთშია“ მოქცეული და რომელიც, უეჭველია, ენახვება ბ. ნ. მარრს.

ამის შემდეგ განა სასაცილონი არ არიან პრივატ-დოცენტის სიტყვები: 13 წელიწადი ვკითხულობ ძველსა და ახალს სომხურს მწერლობას და ისეთი არა წამიკითხავს-რა, რაიცა ქართველობის თვით-არსებობას უარს ჰყოფდესო. რასაკვირველია, როცა კაცს არ უნდა, რიყეზედ ისე ჩაივლის, რომ ქვას ვერ დაინახავს. დიახ, ეს გვჯერა ჩვენც.

ამით გავათავებთ სიტყვას, დაიმედებული, რომ მკითხველს ცოტად თუ ბევრად გავაცანით ახირებული სამეცნიერო მეტოდი ახალგაზდა პრივატ-დოცენტისა არმენისტიკაში და საქართველოს წარსულის კვლევაში. საგანიც ჩვენის წერილისა მხოლოდ ეს იყო.

მე გახლავარ

[4]) „Акакій одно изъ своихъ доказательствъ сознательно питаемой вражды армянъ къ грузинамъ видитъ („ст. 38) въ „рѣшеніи Двинскаго собора 596 года“... მერე: „*Редакція запрещенія* принадлежитъ не Двинскому собору, *какъ думаетъ поэтъ*, а окружному посланію католикоса Авраама“.

[5]) ქართველების თვით-არსებობის უარ-მყოფელია, სამწუხაროდ, ჩვენი ცრუ-მეცნიერი გ. წერეთელიც, როდესაც ის ამასვე გაიძახის მესრობისა და ქართულ ანბანის შესახებ. (იხ. „ისტორიული ნარკვევი“ ალ. ჭყონიასი. გვ. 271). მაგრამ... ვინ გიორგი, ვინ ისტორია! ჩვენ გვიკვირს მხოლოდ ის, რომ ისეთს მშვენიერ „კრებულში“, როგორიც არის „ისტორიული ნარკვევი“, ბ. ალ. ჭყონიამ როგორ მოაქცია „ისტორიული ზღაპრები“ გ. წერეთლისა. მ. გ—რ.

## ნარევი

—

ამერიკის სასწავლებელში ჰკითხეს მოსწავლეს:

— სმიტტ, დამისახელეთ, ვინ იყო პირველი კაცი.

— პირველი კაციო, უპასუხა სმიტტმა, — იგივე პირველი მოქალაქე და პირველი პრეზიდენტი ვაშინგტონი იყო.

— როგორ არა გრცხვენიანთ, სმიტტ... პირველი კაცი ხომ ადამი იყო.

— ახ, მისტერ ჯონს, რატომ არ მითხარით, რომ უცხო-ქვეყნელთა ამბავსა მეკითხვდით.

---

### წესები ყვავილეულობის საგაზაფხულოდ გამოფენისა და საბაღსნო ნაწარმოების კერძო გამოფენებისა 19 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდის.

ა) გაზაფხულის გამოფენა ყვავილეულობისა:

1. გამოფენაში მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს ყოველს მსურველს, როგორც ბაღოსნობის მიმდევარს, ისევე ბაღოსნობის მოყვარეს უფასოდ.

2. გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი უნდა გამოცხადებულ იქმნას წერილით, ან სიტყვიერად თავისს დროზედ, არა უგვიანეს გამოფენის წინადღისა.

3. გამოსაფენი საგნები მიღებულ იქმნება გამოფენის დაწყების დღის 11 საათამდის და დალაგდება ისე, როგორც პატრონი ისურვებს იმისთვის დათმობილ ადგილზედ.

4. გამოფენის მეორე დღეს გაიმართება ყვავილის დღესასწაული. მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ როგორც განყოფილების წევრთ და გამოფენილ საგნების პატრონთ, აგრეთვე გარეშე კაცთაც ხელის მოწერით.

5. დაჭრილ ყვავილისა და ყვავილეულობის ნაწარმოების გამოფენა და ყვავილის დღესასწაული გაიმართება 1—15 მაისს შუა. ამ დღეებში გამოფენილ იქმნება ის ყვავილეულობა და ყოველ გვარი ნაწარმოები ყვავილეულობისა, რომელთაც მოისურვებენ ამ საგნების პატრონები.

6. განყოფილება გამოფენილ საგნებისათვის, სახელდობრ: 1) 50 საუკეთესო ღირსების ვარდისა წესიერის სახელწოდებით და ყოველ ჯიშის არა ნაკლებ ორის ცალისა პატრონს დააჯილდოვებს ვერცხლის დიდისა და პატარა მედალით; 2) რამდენისამე გრძელ ღეროებიან საუკეთესო ვარდისა წესიერის სხაელწოდებით და პატრონის სურვილისამებრ შერჩეულ კარგის ჯიშის ვარდებისათვის ვერცხლის დიდისა და პატარა მედალით; 3) ქილებში ნახარებ საუკეთესო ღირსების ზაფხულის ყვავილებისა, არა ნაკლებ 10 ჯიშისა და საერთოდ არა ნაკლებ 50 ქილის გამოფენისათვის წესიერის სახელწოდებით—ვერცხლის დიდი და პატარა მედალით.

7. ყვავილეულობის საუკეთესო ნაწარმოებისა და ცოცხალ ყვავილების გამოფენისათვის მისაცემად დანიშნულია ოქროს პატარა მედალი, ვერცხლის დიდი მედალი, ვერცხლის ორი პატარა მედალი, 4 ბრინჯაოს მედალი და ქების ფურცლები. ოქროს პატარა და დიდი ვერცხლის მედალი მიეცემა იმას, რომელიც ყვავილებით საუკეთესოდ ჰმორთავს მაგიდას 12 კაცისათვის, სასტუმრო ოთახის კუთხეს, გააკეთებს ყვავილ-გრეხილის ეტლს, ლირას, ბალიშს, გვირგვინს ცოცხალ ყვავილებისას, გვირგვინს მწვანე ფოთლებისას, გვირგვინის—კომპოზიციას, კალათას ცოცხალ ყვავილებისას, თეთრს საქორწილო თაიგულს, მისალოც თაიგულს და გაუშლელ ყვავილების თაიგულს. ჩამოთვლილ საგნების ერთის ნაწილის დამმზადებელს მიეცემა პატარა ვერცხლის მედალი. უმაღლეს ჯილდოს მიიღებს ის, რომელიც დანარჩენ მეტოქეთა უკეთესად დაამზადებს ამა თუ იმ ნაწარმოებს.

8. გამოფენის დროს გამართულ იქმნება კონკურსი საუკეთესო თაიგულის დამზადებისა და მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქმნება ყოველი მსურველი, რომელსაც შეუძლიან ბაღისა და ან მინდვრის ყვავილებისაგან დაამზადოს თაიგული. კონკურსისათვის დანიშნულია ერთი დიდი და ერთი პატარა ვერცხლის მედალი, 5 ბრინჯაოს მედალი და ქების ფურცლები.

9. მე-7 და 8 §§-ში ნაჩვენებ საგნებისა და თაიგულების დასამზადებლად შეიძლება კაცმა იხმაროს როგორც თავისი, აგრეთვე სხვისაგან ნაყიდი ყვავილები. საგნების ავკარგის დაფასების საქმეში საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას.

10. შეიძლება შემოწმებულ იქმნას ის მცენარეებიც, რომლებიც საკონკურსოდ არ იქნება წარმოდგენილი.

11. კერძო გამოფენები. ხილეულობისა და მწვანილეულობის გამოფენები დაიწყება 19 აპრილიდგან და დასრულდება 1 ოქტომბერს. გამოფენები გაიმართება ყოველ კვირა დღეს 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდის და საუკეთესოდ დამზადებულ გამოფენილ საგნებისათვის გამოფენის მონაწილეთ დაენიშნებათ ჯილდოები. იმათ, რომელნიც რამდენსამე გამოფენაში მიიღებენ მონაწილეობას, შეიძლება ოქროს პატარა მედალიც მიეცეთ.

12. ხილეულობისა და მწვანილეულობის გამოფენის დროს უმაღლესი ჯილდო მიეცემა მხოლოდ იმას, რომელიც სრულს, კავკასიისათვის ახალს, კარგის ღირსებისა და კარგად მოვლილ ნახარებ საგნებს გამოჰფენს ამ საგნების სახელწოდებით. ამასთანავე ყოველ გვარ ჯიშის ხილისა და მწვანილისა უნდა წარდგენილ იქმნას ნიმუში: მოზრდილის ხილისა არა ნაკლებ 10 ცალისა და წვრილისა არა ნაკლებ ერთის გირვანქისა.

ყვავილის დღესასწაულის გამგეებად ამორჩეულნი არიან კ. პ. კვეესი, ა. ა. გინცენბერგი და ა. ე. ვასილიევი.

1888 წლის 21 მარტის კრებაზედ განყოფილებამ 1898 წლის კერძო გამოფენების შესახებ დაადგინა: 1) კერძო გამოფენების გამართვის დროს უმაღლესს ჯილდოდ მიჩნეულ იქმნას ოქროს დიდი მედალი; 2) გამოფენილ საგნების შესახების სხდომების დროს ოქმებში აღნიშნულ იქნას ღირსება თითოეულ გამოფენილის საგნისა და წლის ბოლოს ამის მიხედვით მიეცეს ერთი საერთო ჯილდო მთელის წლის განმავლობაში გამოფენილ საგნებისათვის; 3) ამავე წესით იქმნენ დაჯილდოვებულნი ახალი რამ ჯიშის განკარგებული მცენარეების პატრონები, თუნდ ამ განყოფილების კრების დროსაც წარადგინონ იგი.

გამოსაფენი საგნები უნდა გამოგზავნილ იქმნას ამ ადრესით: Тифлисъ. Кавказская шелководственная станція. Въ бюро Кавказскаго Отдѣла Императорскаго Россійскаго Общества Садоводства.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 აპრილი

**ჰავანა.** ნაღმიანი გემი „Posten“ ნაპირთან მივიდა. გემის უფროსი და რამდენიმე კაცი ნაპირზე გადმოვიდნენ და ძვირფასი ცნობები მოიტანეს.

**მადრიდი.** კიუესტისა და კუბას კუნძულის შორის ტელეგრაფის მავთული გაჭრილი არ არის.

**მადრიდი.** მარშალი ბლანკო ჰავანიდგან დეპეშით იუწყება: „გუშინ, სალამო ჟამზე, ამერიკის ფლოტის რამდენიმე გემი მოვიდა მარიანაოსთან. ისპანიის გემმა ზარბაზნების სროლით დაამარცხა ამერიკის გემები, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ კარდენახის ნავთ-სადგურთან მისულიყვნენ. ამერიკის გემები იძულებულნი შეიქმნენ უკან წასულიყვნენ.

**ვენა.** წარმომადგენელთა პალატამ, 175 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 167 ხმისა გადასწყვიტა გარდაეცეს 36 წევრთაგან შემდგარს კომისიას პროექტი, რომლის ძალითაც ბრალი ედება გრაფს ბადენს. კენჭის ყრა რომ გათავდა, მემარცხენეთა შორის მოწონების ხმა გაისმა.

16 აპრილი

**პეტერბურგი.** 15 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ცარსკოესელოში ნანსენი წარსდგა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. პეტერბურგში, სალამოს 8 საათზედ, თავად-აზნაურთა კრების დარბაზში, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის, დიდის მთავრინას ელისაბედ მავრიკის ასულისა, პრინცესა ელენე გიორგის ასულის საკსენ-ალტენბურგელისა, ჰერცოგის მიხეილ გიორგის ძის მეკლენ-ბურგ-სტრელიცკისა, სრულიად სადიპლომატო კორპუსი, მინისტრთა, მრავალ წარჩინებულთა და საზოგადოების თანადასწრებით პატივი სცეს ნანსენსა. საგეოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მიჰმართა ნანსენს სიტყვით და გადასცა საზოგადოებისაგან დიდის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის სახელობის დიდი ოქროს მედალი. ნანსენმა, მადლობის გადახდის შემდეგ, უამბო დამსწრეთ თავისი მოგზაურობა. შემდეგ ნანსენმა ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა მხურვალე მიღებისათვის და აღნიშნა რუსეთის მეცნიერთა მოღვაწეობა პოლიუსისაკენ მდებარე ქვეყნის კვლევა-ძიების საქმეში.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა დეი.

მაკ-კინლეის აზრით, კუბას რომ ალყა შემოერტყას ისპაელნი შიმშილისაგან იძულებულნი იქმნებიან უომრად დაჰნებდეს ამერიკელებს. ხოლო თუ ეს მოხდა ევროპის სახელმწიფონი ინგლისის მეთაურობით ძალას დაატანენ ისპანიას, რომ მან ხელი აიღოს კუბაზედ და ომის განგრძობაზედ უარი განაცხადოს.

ვაშინგტონში თან და თან რწმუნდებიან, რომ საქმე ნამდვილ ომამდე არ მივა, რადგანაც ისპანიის ფლოტი ჯერ ისევ ოკეანეს მეორე მხარესა სდგას.

**მადრიდი.** მანილიიდგან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ ნავთსადგურში შემოვიდა ამერიკის ფრეგატი, რომელიც ისპანიის სამხედრო გემმა შეიპყრო. ფრეგატზედ 1640 ტონნი ნახშირია.

**ნიუ იორკი.** ამერიკის ლეიტენანტი სანტ-იაგოს მახლობლად კუბის ნაპირზედ გადავიდა და მეამბოხეთან წავიდა გარციონთან, იმის შესახებ მოსალაპარაკებლად თუ მეამბოხეთა შემწეობით ამერიკელები როგორ დაეცნენ კუნძულს.

**ნიუ-იორკი.** კივესტიდგან იუწყებიან ისპანიის სავაჭრო გემის, რომელზედ 900 ჯარის კაცი იყო შეპყრობის შესახებ.

**მადრიდი.** მანილში მყოფი ესკადრის ადმირალი დეპეშით იუწყება, ესკადრა ზღვაში გავიყვანე, რომ შესაფერი ადგილი დავიჭირო და მოწინააღმდეგეს დაუცადოო.

ის ამბავი, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდმა ისპანიის გემი შეიპყრო არა მართლდება.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ № 76 დაბეჭდილი იყო სარიყამიშიდან წერილი ბ. ართმელაძესი, რომელიც სხვათა შორის საყვედურს უთვლის ჯეჯილის რედაქციას, რომ ორი მანეთი გავგზავნეო ჯეჯილის დასაკვეთათ ნიგოითის საზოგადოების სოფ. ქვიანის სამრევლო სკოლისთვის და აქამდის არ მისულიათო. ამის პასუხათ მოვახსენეთ ბ. ართმელაძეს, ჟურნალ-ჯეჯილის გზავნა ეს ცხრა წელიწადია ისეა დაყენებული, რომ თუ ნომერი დაიკარგება, ფოსტა თვითონ მოვალეა დაკარგვის მიზეზი გამოიძიოს და პასუხი გასცეს. ან რა ბევრი ხელის მომწერი ჰყავს ჯეჯილს, რომ იმათაც, ვინც იწერს, არ გავუგზავნოთ. მის მაგიერ, რომ აუჭრელებია ვეებერთელა გოდება, უფრო კარგი იქნებოდა ნამდვილათ შეეტყო და თუ მართლა არ მიუღიათ ნომრები, უნდა მოეთხოვოს ადგილობრივ ფოსტას, რადგან რედაქცია დაუყოვნებლივ უგზავნის. საქმე მხოლოდ იმაშია, ვაი თუ მთელი წერილი ბ. ართმელაძისა ისევე მართალი იყოს, როგორც მართალია რასაც სწერს ჯეჯილის შესახებ.

რედაქ. გამომცემელი ან. წერეთლისა


## განცხადებანი

ისყიდება

მიწა ნაჭრებად

ვერაზედ მუშტაიდის პირდაპირ, არტილერიის ყაზარმის ახლო.

იკითხეთ სანდრო მინდიაშვილი, წყნეთის ქუჩა, № 2.

(2—72—1)

---

ხუთშაბათს, 23 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართული იქმნება

საერთო კრება

(ხელმეორედ)

იმ „სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა, რომლებიც ქ. ტფილისის ხარჯით ინახება.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.

2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1897 წ. ანგარიშის შესახებ.

3. არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, კომიტეტის ერთის წევრისა, მდივნისა, ხაზინადრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც ეხლა რიგით ანებებენ თავს სამსახურს.

(3—უ—2)

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Апрѣля 1898 г. სტამბა ქ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.